

დაწყებით კლასებში მოსწავლეთა შეფასების ხერხები და მათი გაუმჯობესება
თბილისის 50-ე საჯარო სკოლაში

ქეთევან იმერლიშვილი, ეკატერინე წულაძე , ქეთევან მეტრეველი

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე განათლების ადმინისტრირების
მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

განათლების ადმინისტრირების პროგრამა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: გიორგი გახელაძე, ასისტენტ-პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2014

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორები, ვაცხადებთ, რომ იგი წარმოადგენს ორიგინალურ ვერსიას და მასში გამოყენებული და ციტირებული სხვა ავტორების მიერ გამოქვეყნებული მასალა დაცულია სათანადო წესების შესაბამისად.

ქეთევან იმერლიშვილი

ეკატერინე წულაძე

ქეთევან მეტრეველი

24.01.2014 წელი

აბსტრაქტი

პრაქტიკული კვლევა ჩატარდა ქალაქ თბილისის 50-ე საჯარო სკოლაში ზოგადი სწავლების დაწყებით საფეხურზე შეფასების სისტემასთან დაკავშირებით I-IV კლასების ჩათვლით. პრაქტიკული კვლევის არსი იმაში მდგომარეობდა, რომ შეგვესწავლა დაწყებით კლასებში მოსწავლეთა შეფასების არსებული და სახეცვლილი სქემების ეფექტურობა. კვლევის საფუძველი გახდა ამ სკოლის დაწყებითი საფეხურის მასწავლებელთა ჯგუფის სურვილი, გაუმჯობესებულიყო მასწავლებელთა შეფასების სქემა ისეთი სახით, რომ მაქსიმალურად მისაღები ყოფილიყო როგორც მასწავლებლებისთვის, ასევე მოსწავლეებისთვისა და მშობლებისთვის.

კვლევა განხორციელდა 2013 წელს. კერძოდ 2012-13 სასწავლო წლის მე-2 და 2013-2014 სასწავლო წლის 1-ელ სემესტრში პრაქტიკული კვლევის (action research) მეთოდური მიდგომებით.

ჯგუფი შეეცადა, რომ სკოლაში არსებული სიტუაცია შეესწავლა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, გაეკეთებინა არსებული მდგომარეობის ღრმა ანალიზი და ეფიქრა იმ საჭიროებებზე, რაც არსებულ მდგომარეობას უკეთესობისკენ შეცვლიდა. ასევე დაიგეგმა და დაინერგა ინტერვენცია და ბოლოს გაიზომა და შეფასდა იგი. რაც შეეხება კვლევის მეთოდებს, ჯგუფმა მიმართა თვისებრივსა და რაოდენობრივი კვლევის მეთოდებს.

კვლევის შემდეგ, მასწავლებლებთან და მშობლებთან უკუკავშირის შედეგად ჯგუფის მიერ შემუშავებული სიახლე მისაღები აღმოჩნდა როგორც მასწავლებლებისთვის, აგრეთვე მშობლებისთვის.

კვლევის შედეგების გამოყენება შეუძლია ყველა იმ პირს, რომელიც დაინტერესებულია აღნიშნული საკითხით და ამ პრობლემის გამომწვევი მიზეზებიც მსგავსია ჩვენს მიერ დასახელებულ მიზეზებთან.

Abstract

The action research was carried out at public school 50 on primary level of study (1-4 classes). Our team's main goal was to study the problems about evaluation forms and to estimate the effectiveness of changed evaluation model. The reason of the action research was the teachers' willing to improve the estimation form of students that it was quite suitable not only for teachers and pupils, but also for parents.

The study was carried out in 2013 (In the second term of 2012-2013 year and in the first term of 2013-2014 year) with the methods of Action Research.

Our group tried to study the situation at school about mentioned problem and to think about the possible ways of solving it. Also it was planned and was made the intervention and finally we evaluated the results. When It comes to methodology, our group preferred to use mixed type (qualitative and quantitative methods of study).

After the action research the results were satisfactory for teachers and parents.

The results of the study can use everyone who is interested in the same problem and of course if the problems are caused by the same reasons.